დემოკრატია და ადამიანის უფლებები

იწყება ჩვენით

ევროპის საბჭოს ქარტია
დემოკრატიული
მოქალაქეობისათვის
განათლებისა და ადამიანის
უფლებათა სწავლების შესახებ

ქარტია ყველასათვის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

დემოკრატია და ადამიანის უფლებები

იწყება ჩვენით

ევროპის საბჭოს ქარტია
დემოკრატიული
მოქალაქეობისათვის
განათლებისა და ადამიანის
უფლებათა სწავლების შესახებ

ქარტია ყველასათვის

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი და ავტორისეული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

წინამდებარე დოკუმენტის ან მასში შესული მასალის თარგმნის ან ბეჭდვის ნებართვის მისაღებად, საჭიროა, მიმართოთ კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int). წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საჭიროა, დაუკავშირდეთ ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტს.

რედაქტორი:
ელენა დიეზ ვილაგრასა

დიზაინი და ილუსტრაციები:
პამპანეო

© ევროპის საბჭო, აგვისტო 2012 წელი

მთარგმნელი:
მაია გვიტიძე

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია ნაკაშიძე

ტექნიკური რედაქტორი:
ბესიკ დანელია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
2014

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

რას გაეცნობით აქ?

1 რატომ ქარტია? 5

2 რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები? 6

3 რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობა? 8

4 რას წარმოადგენს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ? 11

5 რა არის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პრინციპები? 13

- მრავალფეროვნების პატივისცემა 14
- ყველას ჩართულობა 16
- თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის 17
- ადამიანის ღირსების პატივისცემა 18
- მშვიდობიან გარემოში ცხოვრება 19

6 ვინ მონაწილეობს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში? 20

7 იცავენ თუ არა სკოლები და ორგანიზაციები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის პრინციპებს? 23

8 რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას? 26

ევროპის საბჭოს ქარტია, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ეძღვნება, წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს საკითხებს, რომლებიც ყველას ეხება.

წინამდებარე პუბლიკაციაში თქვენ შეიტყობთ, რას ეხება მოცემული ქარტია და როგორ უკავშირდება იგი თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.



დოკუმენტის გაცნობისას, თქვენ წააწყდებით შემდეგ სიმბოლოებს, რომლებიც დაგეხმარებათ ქარტიის ტექსტის უკეთ აღქმაში:

რა შეიძლება მოვიმოქმედოთ

მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ

რაზე უნდა დავფიქრდეთ. ძალიან ბევრ კულტურაში კუ სიბრძნის სიმბოლოდ არის მიჩნეული. როდესაც მოცემულ დოკუმენტში ამ სიმბოლოს წააწყდებით, გამოყავით მცირე დრო, რათა დაფიქრდეთ ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე.

1 რატომ ქარტია?

ევროპის საბჭო, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, აერთიანებს ქვეყნებს, რომლებსაც საერთო ღირებულებები აქვთ შემდეგი მიმართულებებით:

- **ადამიანის უფლებები**;
- **დემოკრატია**;
- **კანონის უზენაესობა**.

ქარტია , რომელიც ეძღვნება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას, შეიქმნა იმისათვის, რომ გარანტირებული ყოფილიყო ამ ღირებულებათა დაცვა და ხელშეწყობა, განათლების სფეროში და განათლების საშუალებით. ქარტია, ჩვეულებრივ, წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია, თუ რაზე თანხმდებიან კონკრეტულ სფეროში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები.

კანონის უზენაესობა ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ხელისუფლება, მაგალითად, როგორიცაა მთავრობა, ისევე უნდა იცავდეს კანონს, როგორც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა იცავს; და მათ არ აქვთ უფლება, იმოქმედონ თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქვეყნის ხელისუფლებას წარმოადგენენ. ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი 2 და თავი 3.

2010 წელს ევროპის საბჭოს 47-ვე წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნა ქარტია, რაც იყო დასტური იმისა, რომ ამ ქვეყნების მთავრობები:

ევროპის საბჭო არ უნდა აგვერიოს ევროპის კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც 27 სახელმწიფო შედის!

- აღიარებენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მნიშვნელობას;
- თანახმა არიან, განახორციელონ აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული იდეები და რეკომენდაციები და, ამავე დროს, დაიცვან საკუთარ ქვეყანაში მოქმედი წესები და კანონები და ქვეყნის მოქალაქეთა ძირითადი პრიორიტეტები.

მაგრამ, ასევე, ყველა ჩვენგანს აკისრია ვალდებულება, ხელი შეუწყოს ქარტიაში ჩამოყალიბებული იდეების განერგვას იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

თქვენ აქვე შეიტყობთ ზოგიერთ მოსაზრებასა და იდეას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ამ პროცესში, ვინაიდან დემოკრატია და ადამიანის უფლებები იწყება ჩვენით!



ქარგია ეძღვნება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. მაგრამ რა იგულისხმება ამაში?

2 რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

ადამიანის უფლებები მოიცავს ყოველივე იმას, რაც ადამიანს **სჭირდება** იმისათვის, რომ ღირსეულად იცხოვროს. როდესაც ადამიანის უფლებები ირღვევა, ეს ნიშნავს, რომ მათ არ ეპყრობიან ისე, როგორც ადამიანებს უნდა მოეპყრონ.

ადამიანის უფლებები არის შენი საკუთრება, რომელსაც ვერავინ წაგართმევს.

რა გჭირდება იმისათვის, რომ იცხოვრო კარგად, თავი იგრძნო უსაფრთხოდ, იყო ჯანმრთელი და ჩამოყალიბდე მოქალაქედ?

ჩამონათვალში არის ისეთი რამ, რაც შენ იმიტომ გჭირდება, რომ ჯერ არ ხარ ზრდასრული? რა არის ეს?

ადამიანის უფლებები ხშირად ირღვევა. ამის გამო სხვადასხვა დროს იქმნებოდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა მიზანსაც ამ უფლებების დაცვა წარმოადგენდა. ამგვარ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**. ამ დოკუმენტის საშუალებით, ისტორიაში პირველად, ქვეყნები, მსოფლიოს ყველა კუთხიდან, შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ ადამიანის უფლებებს. მაგრამ იგი არ წარმოადგენს ამ ტიპის ერთადერთ დოკუმენტს; მაგალითად, ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს, წარმოადგენს **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.**

ეს მოხდა 1948 წელს, ორი შემზარავი მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის დროსაც უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.echr.coe.int/ECHR

ადამიანის უფლებები საერთოა მსოფლიოში ყველა ადამიანისთვის.

ბავშვებს კონკრეტული საჭიროებები აქვთ: ისინი ზრდასრულებზე მეტად დაუცველები არიან, ვინაიდან ზრდისა და განვითარების პროცესში იმყოფებიან. სწორედ ამიტომ, მათ დამატებით აქვთ თავიანთი უფლებები, რომლებიც კონკრეტულ დოკუმენტში, კონკრეტული ფორმით არის ჩამოყალიბებული: **გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია.**

18 წლამდე ასაკის ადამიანი.

☐ გადახედეთ თქვენ მიერ შედგენილ საჭიროებათა ჩამონათვალს და შეამოწმეთ, **გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში** შესულია თუ არა თქვენ მიერ ჩამოთვლილი საჭიროებები.

უფლებები, რომლებიც შესულია გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში

- ☐ ბავშვს აქვს სიცოცხლისა და განვითარების უფლება;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს დისკრიმინაციისაგან;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და ეროვნება;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ᲫᲨობლების ან სხვა პასუხისმგებელ პირთა მზრუნველობით;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ნებისმიერი ფორმის ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და მიიღოს შესაბამისი სამედიცინო დახმარება;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ პირობებში, რომლებიც აუცილებელია მისი განვითარებისათვის;
- ☐ ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება;
- ☐ ბავშვს აქვს დასვენების, თამაშისა და კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, შეხედულებები და რწმენა;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, სხვა ბავშვებთან ერთად, გაწევრიანდეს ჯგუფში ან ორგანიზაციაში;
- ☐ ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- ☐ ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია;
- ☐ ლტოლვილის სტატუსის შემთხვევაში, ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს განსაკუთრებული მზრუნველობით;
- ☐ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს განსაკუთრებული მზრუნველობითა და ხელშეწყობით;
- ☐ უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვს აქვს უფლება, შეისწავლოს და ისაუბროს იმ ენაზე, რომელზეც მისი ოჯახი საუბრობს, მისდიოს იმ რელიგიას, რომელსაც მისი ოჯახი მისდევს და დაიცვას ოჯახის ტრადიციები;
- ☐ ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს განსაკუთრებული მზრუნველობით.

1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული დოკუმენტის სრული ვერსია მოიძიეთ ვებგვერდზე:
http://www.unicef.org/magic/briefing/uncorc.html

შეგიძლიათ მოიყვანოთ ადამიანის უფლებების დარღვევის მაგალითი (მეგობრების მონათხრობიდან, წიგნებიდან, ტელეგადაცემებიდან, თქვენი პირადი გამოცდილებიდან და ა.შ.)?

ოდესმე გიგრძვნიათ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა? რა მოიმოქმედეთ ამ სიტუაციაში?

როგორ უნდა იმოქმედონ ადამიანებმა, როდესაც ირღვევა მათი ან სხვა ადამიანების უფლებები?

უმცირესობებს წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც კონკრეტული ადგილის დომინანტი მოსახლეობისაგან, უმრავლესობისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებენ, განსხვავებული შეხედულებები და ტრადიციები აქვთ.

3 რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობა?

დემოკრატია წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის ორგანიზების ერთ-ერთ შესაძლო გზას. იგი არის ქვეყნის ან პატარა დასახლების ან კლასის მართვის ერთ-ერთი ფორმა.

- შეამოწმეთ, რამდენად დემოკრატიულია გარემო, სადაც თქვენ ცხოვრობთ

- ადამიანები თავად იღებენ გადაწყვეტილებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ და რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია.
- უმრავლეს შემთხვევაში, ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ არა პირდაპირ, არამედ ირჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ და რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში იცავენ მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს.
- არჩეული პირები მოქმედებენ საკუთარი ამომრჩევლის ინტერესების, და არა საკუთარი ინტერესების დასაცავად. ამრიგად, მათ უწევთ იმ მიზეზების დასახელება, რომლებიც მათ ქმედებებს განსაზღვრავს და, აგრეთვე, ისინი პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე.
- ადამიანებს, გარდა ხმის მიცემისა, შეუძლიათ სხვადასხვა გზასა და საშუალებას მიმართონ, გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით; მაგალითად, მათ შეუძლიათ, მიმართონ პროტესტის რომელიმე ფორმას, იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებიან გადაწყვეტილებას ან ჩამოაყალიბონ სხვადასხვა ტიპის ასოციაციები.
- ქვეყანაში მოქმედი **კონსტიტუცია** და **კანონები** **ასახავს** **მოქალაქეებს** – ქვეყნის მცხოვრებლებს შორის შეთანხმებას იმ წესებისა და პრინციპების თაობაზე, რომლებიც მათ უნდა დაიცვან და რომლებსაც უნდა დაექვემდებარონ.
- გადაწყვეტილების მიღება წარმოებს იმის გათვალისწინებით, თუ რას ფიქრობს მოქალაქეთა უმრავლესობა, მაგრამ, აგრეთვე, ხდება უმცირესობათა მოსაზრებების გათვალისწინება და უმცირესობათა ჯგუფები დაცული არიან.

კონსტიტუცია განსაზღვრავს იმას, თუ როგორ იქმნება კანონები და როგორ და ვის მიერ ხდება მათი დაცვა და, აგრეთვე, განსაზღვრავს ურთიერთობას მთავრობასა და მოქალაქეებს შორის.

დემოკრატია წარმოადგენს სისტემას, რომელიც ადამიანთა ჯგუფების ორგანიზებას ემსახურება. ამრიგად, **ნამდვილად შესაძლებელია, რომ დემოკრატია დაიწყოს ჩვენით!**

თქვენს სკოლაში, გუნდში ან კლუბში არის თუ არა წესები, რომლებსაც ყველა თქვენთაგანი იცავს, რათა შესაძლებელი იყოს საქმის ერთად კეთება, თანაცხოვრება და ერთად მუშაობა?

რა უფლებებით სარგებლობთ და რა პასუხისმგებლობები გაკისრიათ?

ვინ შექმნა ეს წესები?

შესაძლებელია თუ არა ამ წესების შეცვლა? თუ შესაძლებელია, როგორ?

რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ამ წესებს არღვევენ?

ორივე სიტყვა ერთად, **დემოკრატიული მოქალაქეობა,** გულისხმობს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც უნდა ასრულებდნენ ადამიანები საზოგადოებაში ან ქვეყანაში; ისინი აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც ეხება მათ და იმ საზოგადოებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

მოქალაქეების მიერ შექმნილი ასოციაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ საზოგადოების ცხოვრებაზე.

4 რას წარმოადგენს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება?

მოცემული ქარტია არა მარტო ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ მოქალაქეობას ეხება, არამედ, ასევე, განათლებას!

განათლება თავისთავად წარმოადგენს უფლებას, მაგრამ, ამავდროულად, წარმოადგენს სხვა უფლებების განხორციელების გზას .

იმ ტერიტორიაზე, სადაც მე ვცხოვრობ, ბევრი შრობლემაა: ხალხს აწუხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შრობლემები, ბევრი ადამიანია უმუშევარი, ბევრი ახალგაზრდა თავს ანებებს სკოლაში სწავლას. მე, სხვა ახალგაზრდებთან ერთად, მონაწილეობა მივიღე შროექტში, სადაც ბევრი რამ შევიტყვე ჩემი უფლებების შესახებ და, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ ვის უნდა მივმართო იმისათვის, რომ ჩემი უფლებები დაცული იყოს. ამ შროექტში მონაწილეობისას, მე შევიტყვე, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სტიპენდია და მე იგი მოვიშოვე!

დამატებითი ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდების უფლებებს ეხება, შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე: www.coe.int/enter

როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება, ასევე, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოიცავს ასპექტებს, რომლებიც თქვენთვის მნიშვნელოვანია როგორც პიროვნებისათვის და იმ საზოგადოების წევრისათვის, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ.

როგორც **დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება**, ასევე, **ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება** ჩვენ გვეხმარება:

გავიგოთ, რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები და დემოკრატია; ვისწავლოთ მათ **შესახებ**;

პრაქტიკულად განვახორციელოთ ადამიანის უფლებები და დემოკრატიის პრინციპები, და დავიცვათ როგორც საკუთარი, ასევე, სხვა ადამიანების უფლებები, როდესაც ისინი ირღვევა; ვისწავლოთ მათი დაცვის **მიზნით**;



პრაქტიკულად გამოვიყენოთ და შევიგრძნოთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპები; ვისწავლოთ მათი **საშუალებით**.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და **ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება** იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ წინამდებარე დოკუმენტში ჩვენ მათ განვიხილავთ, როგორც ერთ იდეას.

EDC/HRE = განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ

- „Compasito“ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.coe.int/compasito
- დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების შესახებ არსებული სახელმძღვანელოები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: http://www.coe.int/edc
- ჰკითხეთ თქვენს მასწავლებლებს ან ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, იცნობენ თუ არა ისინი ამ ლიტერატურას. მოცემული სახელმძღვანელოები მოიცავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების აქტივობებს, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას **ეხება**, მათ დაცვას **ემსახურება** და მათი საშუალებით **ხორციელდება**.

5 რა არის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პრინციპები?

ჩვენმა მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ განათლება მოიცავდეს ამ პრინციპების დაცვასა და ხელშეწყობას.

დაცულია თუ არა ეს პრინციპები ჯგუფში, რომელსაც თქვენ ეკუთვნით? შემდეგ გვერდებზე, თითოეული პრინციპის გვერდით, თქვენ აღმოაჩენთ ბარომეტრს, რომელიც დაგეხმარებათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში. ბარომეტრზე, შესაბამის ადგილზე, გააკეთეთ აღნიშვნა იმის მიხედვით, თუ, თქვენი აზრით, **რამდენად არის ეს ელემენტები წარმოდგენილი თქვენს გარემოში** (თქვენს კლასში, თქვენს ჯგუფში ან თქვენს ორგანიზაციაში და ა.შ.).

მრავალფეროვნების პატივისცემა

იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ბევრი კულტურა, რელიგია, გამოხატვის განსხვავებული საშუალება და ცხოვრების სხვადასხვაგვარი აღქმაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, პატივისცემა გამოვიჩინოთ ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად განსხვავებულნი არიან ისინი ჩვენგან, ვინაიდან ჩვენ, ყველა, ერთნაირი უფლებებით ვსარგებლობთ.

ხშირია ადამიანების დისკრიმინაციის შემთხვევები, ანუ მათდამი უპატივცემულობის გამოჩენა, რასაც საფუძვლად უდევს მხოლოდ ის, რომ ისინი განსხვავებულები არიან. ზოგჯერ ეს ხდება იმიტომ, რომ უმრავლესობას ამ ადამიანების მიმართ გარკვეული ცრუ წარმოდგენები აქვს. ამ წარმოდგენების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ის, რაც უმრავლესობას მათზე სმენია, ან მათ, უბრალოდ, ძალიან გამარტივებული წარმოდგენები აქვთ. ძალიან ხშირად მედია იმეორებს ან ხელს უწყობს ამ ცრუ თუ გამარტივებული წარმოდგენების განმტკიცებას. ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად დავფიქრდეთ, ვიდრე სხვა ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფების შესახებ მოსმენილ ინფორმაციას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ და ვაღიარებთ.

„ცოცხალი ბიბლიოთეკა“ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკის მსგავსად მოქმედებს, სადაც მკითხველი მოდის, დროებით გამოაქვს „წიგნი“ და, მას შემდეგ, რაც ამ წიგნის კითხვას დაასრულებს, იგი წიგნს ბიბლიოთეკაში აბრუნებს. არის მხოლოდ ერთი განსხვავება: ცოცხალ ბიბლიოთეკაში წიგნების ფუნქციას ადამიანები ასრულებენ! ისინი იმ ადამიანთა ჯგუფებს მიეკუთვნებიან, რომელთა მიმართაც ხშირია დისკრიმინაციის გამოვლინება.

„წიგნები“ და მკითხველები ერთმანეთს ესაუბრებიან, ამგვარად, მკითხველს ეძლევა საშუალება, გაიცნოს ადამიანი ისეთი, როგორსაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს და შეცვალოს ის უარყოფითი წარმოდგენა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შესახებ, რომელიც მას, შესაძლოა, მანამდე ჰამოუყალიბდა.



რა წარმოდგენებს ამკვიდრებს მედია თქვენს ქვეყანაში იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უმრავლესობისაგან განსხვავდებიან?

თქვენი აზრით, რა წარმოდგენებს უნდა ამკვიდრებდეს მედია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უმრავლესობისაგან განსხვავდებიან?

ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია. ხელიდან არ უნდა გავუშვათ შესაძლებლობა, ჩვენგან განსხვავებულ ადამიანებს გავუზიაროთ საკუთარი შეხედულებები და მოვუსმინოთ მათაც; ამგვარად, ჩვენ ერთმანეთისაგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. **მრავალფეროვნება ამდიდრებს ჩვენს საზოგადოებას.**

ერთ დროს მე ჩეხეთში „ცოცხალი ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი წიგნი ვიყავი. ცნობილია, რომ ბევრ ადამიანს გარკვეული ცრუ წარმოდგენები აქვს ბოშათა საზოგადოების შესახებ; სწორედ ამის გამო, მე ეს შემოთავაზება მცირედი შიშის გრძნობით მივიღე. მაგრამ ჩემი „მკითხველები“ ძალიან ინტერესს იჩენდნენ ჩვენი კულტურის, ჩვენი წეს-ჩვეულებებისა და ჩემი შირაღი ცხოვრების მიმართ.



წარმოიდგინეთ,
როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება,
ყველა შიროვნება აბსოლუტურად
იდენტური რომ იყოს.
აღბათ მოსაწყენი.

- თქვენს სკოლაში წამოაყენეთ „ცოცხალი ბიბლიოთეკის“ მოწყობის ინიციატივა.
- რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განახორციელოთ ეს, შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: http://www.eycb.coe.int/eycbwwwroot/hre/ „ნუ იმსჯელებთ წიგნის შესახებ მისი ყდის მიხედვით! „ცოცხალი ბიბლიოთეკის“ მოწყობის სახელმძღვანელო“.

ყველას ჩართულობა

საჭიროა, ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენს საზოგადოებაში არავინ იყოს დისკრიმინაციის ობიექტი, ვინაიდან არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისათვის, რომ რომელიმე პიროვნება საზოგადოებიდან გავრიყოთ: **ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ!**

არიან თქვენს კლასში ან ჯგუფში ადამიანები, რომლებიც შესაძლოა თავს გარიყულად გრძნობდნენ? რა არის ამის მიზეზი?

არიან თქვენ ირგვლივ ადამიანები, რომლებსაც საზოგადოების წევრებად არ მიიჩნევენ?

რა უნდა შეიცვალოს თქვენს საზოგადოებაში იმისათვის, რომ თქვენ ირგვლივ მყოფმა ყველა ადამიანმა თავი ამ საზოგადოების წევრად იგრძნოს?

თქვენს სკოლაში ან ორგანიზაციაში გოგონებისა და ვაჟებისადმი მოპყრობა განსხვავებულია?



თანაბარი შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

ვინაიდან ყველანი ადამიანები ვართ, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა ჩვენგანისადმი მოპყრობა თანაბარი იყოს და ყველას გვქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მივიღოთ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც ვეკუთვნით. მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომლებიც ჩვენს ოჯახებს შორის არსებობს, განსხვავებული შეხედულებებისა, მიუხედავად იმისა, რა ან ვინ მოგვწონს ჩვენ, მიუხედავად იმისა, გოგონები ვართ თუ ვაჟები, ან რა უნარებს ვფლობთ, ჩვენ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს.



შეისწავლეთ თქვენი გარემო

რუკაზე მონიშნეთ თქვენი საყვარელი ადგილები. ეწვიეთ ამ ადგილებს და დააკვირდით, რამდენად შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, პირებს, რომლებსაც მხედველობის ან სმენის პრობლემები აქვთ და ა. შ.) ამ ადგილებში მოხვედრა და გართობა ან დასვენება. დაფიქრდით, რამდენად არის თქვენი გარემო უზრუნველყოფილი პირობებით, რათა ამ ადამიანებმა უსაფრთხოდ და დაბრკოლებების გარეშე შეძლონ ცხოვრება, მუშაობა და გართობა.

მე დიდ ბრიტანეთში ვცხოვრობ და აღგიღობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი ვარ. ამავე ორგანიზაციაში არის ერთი ბიჭი, სახელად უილიამი, რომელიც ცერებრული დამბლით არის დაავადებული. ამ დაავადების გამო, იგი კიდურებს ვერ ამოძრავებს და ვერ მეტყველებს.

მას შემდეგ, რაც იგი ჩვენი ორგანიზაციის წევრი გახდა, ჩვენ ვცდილობთ, უფრო გონივრულად დავგეგმოთ ჩვენი აქტივობები. თავიდან ეს საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ახლა ჩვენთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს ჩვენი ფრაგილიული აქტივობების იმგვარად დაგეგმვა, რომ უილიამს შეეძლოს მათში მონაწილეობის მიღება.

მაგალითად, როდესაც ჩვენი ჯგუფი გეგმავდა აქტივობას, რომელიც დაბრკოლებების გადალახვაში ვარჯიშს ემსახურებოდა, ჯგუფი ორ გუნდად გავყავით. გუნდს, რომელშიც უილიამი იყო წარმოდგენილი, ევალებოდა საკაცით მისი გადაყვანა და, შარაველურად, მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა, ასევე, მეორე ჯგუფშიც შეირჩა ერთ-ერთი წევრი, რომელიც მის გუნდს საკაცით უნდა გადაეყვანა.

საბედნიეროდ, უილიამი უშიშარია და მის გუნდს მხოლოდ რამდენჯერმე მოუწია შერერება, ისიც იმის გამო, რომ მთელ გუნდს, უილიამთან ერთად, სიყვარულით სურდა გული ეჯერა.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: www.ifm-sei.org კამპანია: „ყველანი ერთად“

ადამიანის ღირსების პატივისცემა

ის, რაც ჩვენ, ჩვენ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, გვაერთიანებს, არის ადამიანის ღირსება. ჩვენ ყველას გვჭირდება, რომ საზოგადოება გვაფასებდეს როგორც ადამიანს, არც მეტი და არც ნაკლები. არავის აქვს უფლება, სხვა ადამიანს ბოროტად მოეპყროს და მის წინააღმდეგ ძალადობა გამოიყენოს, ან სხვებს ისე მოექცეს, რომ მათ თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ.

როდესაც ადამიანები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ საკუთარ სკოლაში ან ჯგუფში, იმის გამო, რომ მათ ვიღაც აშინებს, დევნის, ავიწროებს ან ცუდად ეპყრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ირღვევა მათი, როგორც ადამიანების, უფლებები.



თავს ყველა უსაფრთხოდ გრძნობს თქვენს სკოლაში ან ჯგუფში?

- მოიძიეთ, არის თუ არა ადილობრივი სამსახური იმ ტერიტორიაზე, სადაც თქვენ ცხოვრობთ და სწავლობთ, რომელსაც შეუძლია მიმართოს 18 წლამდე ახალგაზრდამ იმ შემთხვევაში, თუ იგი შევიწროებასა და დევნას განიცდის.
- დახმარების სამსახურის ტელეფონის ნომერი: _____

მშვიდობიან გარემოში ცხოვრება

ჩვენ ყველა რომ ვიცავდეთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპებს, შესაძლებელი იქნებოდა, გვეცხოვრა უფრო სამართლიან და მშვიდობიან მსოფლიოში. თუმცა ერთად ცხოვრება ყოველთვის ადვილი არ არის და ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს უთანხმოებისა და კონფლიქტის საბაბი.

აუცილებელია, კონფლიქტები მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. დიალოგი წარმოადგენს კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ეფექტურ გზას, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება.

როგორ უმკლავდებით და აგვარებთ ჯგუფში ან კლასში წამოჭრილ კონფლიქტებს?



6 ვინ მონაწილეობს დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში?

ჩვენმა **მთავრობებმა** და **მასწავლებლებმა** ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ჩართულ იქნას სწავლებისა და სწავლის ნებისმიერ საფეხურზე, საბავშვო ბაღიდან და დაწყებითი განათლებიდან დაწყებული, სკოლითა და უნივერსიტეტებით, და ყველა სხვა უმაღლესი განათლების კერებით დამთავრებული.



ჩვენ ან წარმოგიდგებათ პირველად გონებაში, როდესაც გესმით სიტყვა „**განათლება**“?

ძალიან ბევრ შემთხვევაში პასუხია **სკოლა**. მაგრამ არის კი სკოლა ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ განათლების მიღება და სწავლა?

ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მხოლოდ ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისათვის არ არის განკუთვნილი?

სწორედ ამას ნიშნავს! დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ყველას ეხება, განურჩევლად ასაკისა, ვინაიდან ჩვენ მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე ვაგრძელებთ სწავლას!

სად შეუძლიათ ადამიანებს სწავლა და განათლების მიღება? გააგრძელეთ ჩამონათვალი: სკოლაში, ბიბლიოთეკაში, სახლში,

---

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ყველას ეხება, და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე გრძელდება.

ახალგაზრდული ორგანიზაციები და **არასამთავრობო ორგანიზაციები** მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესში, ძალიან ბევრი მიზეზის გამო:

- ისინი ცდილობენ, უკეთესი გარემო შექმნან იმ საზოგადოებაში, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა;
- ძალიან ხშირად ისინი წარმოადგენენ იმ ადგილებს, სადაც ყველას აქვს საშუალება, პრაქტიკული სახე მისცეს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვას.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის მნიშვნელოვანია, ჩვენმა მთავრობებმა აღიარონ ის წვლილი, რომელიც ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეაქვთ განათლების სფეროში და, საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას.

ჩვენ, აგრეთვე, ვსწავლობთ და ვიძენთ ცოდნას ჩვენი **ყოველდღიური გამოცდილების** საფუძველზე, **ჩვენს ყოველდღიურ გარემოში**, მედიის საშუალებით და **იმ ხალხისაგან, რომელიც ჩვენ გარშემოა**: მეზობლები, მეგობრები და ოჯახის წევრები.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში აუცილებელია ჩავრთოთ ის ადამიანები, გარემო და დაწესებულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე.

- დაუბრუნდით მე-20 გვერდზე მოცემულ ჩამონათვალს იმ ადამიანებისა და ადგილების შესახებ, რომლებიც ჩვენ მიერ ცოდნის შეძენის პროცესზე ახდენენ გავლენას და შეავსეთ ჩამონათვალი იმ ელემენტებით, რომელთა შესახებაც მოცემულ თავში შეიტყვეთ.

ოდესმე თუ წარმოგიდგენიათ, რომ თქვენი ჯგუფის ან თანაკლასელების მასწავლებელი ყოფილიყავით? როგორ გამოიყენებდით ამას საკუთარი ცხოვრებისა და სხვების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით?

შეგიძლიათ წინამდებარე ბროშურაში შესული თავებიდან მოიყვანოთ მაგალითები, რომლებშიც ახალგაზრდები თავიანთ თანატოლებთან ერთად მუშაობენ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე?

განათლების პროცესში ბევრი დაწესებულებაა ჩართული და მასში ბევრი ადამიანი მონაწილეობს: დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ყველა მათგანს ეხება. ამგვარად, წინამდებარე ქარტიაში მოცემული რეკომენდაციები ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

7 ისავენ თუ არა სკოლები და ორგანიზაციები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის პრინციპებს?

შეუძლებელია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლა გარემოში, რომელშიც არ არის დაცული ადამიანის უფლებები და დემოკრატიის პრინციპები.

ქარტიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ დაწესებულებები და ინსტიტუციები, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას უძღვებიან, განსაკუთრებით, **სკოლები** და **ახალგაზრდული ორგანიზაციები**, პატივს უნდა სცემდნენ ადამიანის უფლებების პრინციპებსა და ღირებულებებს და დემოკრატიულად უნდა იყვნენ ორგანიზებულნი.

შეგიძლიათ თუ არა, თამამად განაცხადოთ, რომ იმ გარემოში, სადაც თქვენ ცხოვრობთ და სწავლობთ (თქვენს სკოლაში, თქვენს ორგანიზაციაში, თქვენს სპორტულ კლუბში), დაცულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპები და ღირებულებები? გადახედეთ მე-5 თავში მოცემულ ბარომეტრებს, რომლებზეც თქვენ აღნიშვნები გაქვთ დატანილი. ისინი დაგეხმარებათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში:

☐ *ყოველთვის* ☐ *ხშირად* ☐ *იშვიათად* ☐ *არასდროს*

შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული ქმედება, რომელსაც თქვენი სკოლა ან ახალგაზრდული ორგანიზაცია ახორციელებს, ან შეუძლია განახორციელოს, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვისა და დამკვიდრების მიზნით?

სკოლები და ახალგაზრდული ორგანიზაციები **თეორიის პრაქტიკად ქცევის** დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობენ! სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების სწავლა გამოცდილების საშუალებით.

თქვენს სკოლაში ან ახალგაზრდულ ორგანიზაციაში აქტივობების დაგეგმვისას, გათვალისწინებულია თუ არა თქვენი მოსაზრებები?

როგორ წარმოებს გადაწყვეტილებების მიღება თქვენს ჯგუფში ან კლასში?

შესაძლებელია თუ არა არსებული პროცედურების გაუმჯობესება? როგორ?

დემოკრატია ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესებში **ყველა მონაწილეობს**, სწორედ იგივე უნდა ითქვას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ და ვინ განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ისწავლო შენ?

☐ არის თუ არა თქვენს სკოლაში მოსწავლეთა საბჭო ან მსგავსი სტრუქტურა თქვენს ორგანიზაციაში: ☐ დიახ ☐ არა

თუ პასუხი დადებითია:
☐ გადაამოწმეთ, რა წარმოადგენს მის მთავარ ამოცანას.

თუ პასუხი უარყოფითია:
☐ მიმართეთ თქვენს ქვეყანაში არსებულ მოსწავლეთა გაერთიანებას, რათა დაგეხმაროთ მსგავსი სტრუქტურის შექმნაში (დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.edufile.info)

ერთ-ერთი შესაძლო გზა, ჩართული იყო საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში, არის მოსწავლეთა საბჭოს (ან კავშირის) ფუნქციონირება. ეს არის ასოციაცია, რომელის წევრებსაც მხოლოდ მოსწავლეები წარმოადგენენ და რომელსაც ისინი იყენებენ იმისათვის, რომ თავიანთი შეხედულებები და პრობლემები გააცნონ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა საბჭოს საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით. ისინი სარგებლობენ ხმის უფლებით სკოლის საბჭოში, რომელიც სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ უმთავრეს ორგანოს წარმოადგენს.



მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ მონაწილეობას არ გულისხმობს! ყველას საკუთარი **პასუხისმგებლობა** და **ვალდებულებები აქვს**.

როგორც ეს კარგად ჩანს, ადამიანებს ერთ-ერთ საკითხზე, ჩვენ გვეძლევა საშუალება, გამოვთქვათ საკუთარი აზრი. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ყველას ეძლევა იგივე შესაძლებლობა და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ სხვების მიერ გამოთქმულ აზრს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებისაგან განსხვავდება.

ნუ დაგვავიწყდება ჩვენი მთავრობა! ჩვენი მთავრობა აუცილებლად უნდა იყოს ჩართული განათლების სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებებზე.

8 რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას?

ამასთან დაკავშირებული ზოგიერთ მოსაზრებას უკვე გაეცნობოდით მოცემული ბროშურაში.

ქარტიაში კიდევ უფრო მეტი მოსაზრებაა მოცემული!



თანამშრომლობა

- ყველა ადამიანი და ყველა დაწესებულება ერთმანეთს უნდა ედგას მხარში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების საქმეში.
- სხვადასხვა დონეზე გახორციელებული თანამშრომლობა ერთმანეთს ავსებს: აქტივობები, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ემსახურება, შესაძლებელია თავიდან ერთ კონკრეტულ ადგილზე გახორციელდეს, შემდეგ გავრცელდეს და მთელი მსოფლიოც კი მოიცვას!
- მთავრობებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ქვეყნის მოსახლეობასთან და სხვადასხვა დაწესებულებასთან და, აგრეთვე, სხვა ქვეყნის მთავრობებთანაც.



წინამდებარე ქარტია არის დასტური იმისა, რომ თანამშრომლობა დადებითი შედეგის მომტანია.

თავად ქარტია არის ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანას შორის საერთაშორისო დონეზე წარმოებული თანამშრომლობის შედეგი!



მასწავლებელთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ლიდერების მომზადება

- მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის, რასაც რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს.
- ქვეყნის მთავრობამ მასწავლებლები უნდა უზრუნველყოს პროფესიული მომზადების შესაძლებლობებით, როგორც მატერიალური, ასევე, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

- ჰკითხეთ თქვენს მასწავლებლებს, როგორ დაეუფლნენ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას. ჰკითხეთ მათ, როდის გაიარეს ბოლოს ტრენინგი ამ მიმართულებით?
- თქვენს **მასწავლებლებთან** ერთად მოიძიეთ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების შესაძლებლობები ევროპის საბჭოს პროგრამის (Pestalozzi Programme) ფარგლებში, ვებგვერდზე: www.coe.int/pestalozzi/
- თქვენი **ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან** ერთად, მოიძიეთ მათი პროფესიული მომზადების შესაძლებლობები სპეციალურ ვებგვერდზე: www.coe.int/youth

შეფასება

- აუცილებელია, შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტურია კონკრეტული აქტივობა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი დახვეწა და გაუმჯობესება სამომავლოდ.
- მათ, ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებით გათვალისწინებულ აქტივობებში, საჭიროა, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ აქტივობებთან დაკავშირებით.

ყოველთვის გეძლევა საშუალება, გამოხატო საკუთარი მოსაზრება კონკრეტული აქტივობის ან გაკვეთილის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღე?

როგორ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შენი მოსაზრება?

კვლევა

- საჭიროა, შეგროვდეს ინფორმაცია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ; მაგალითად, მიღებული გამოცდილება, გამოყენებული მეთოდები ან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა აინტერესებთ შემსწავლელებს ყველაზე მეტად.
- აღნიშნული ინფორმაცია გამოდგება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგად მიმდინარეობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოცემულ ადგილზე.
- შედეგების საფუძველზე, ჩვენ, ასევე, შევძლებთ კონკრეტული მოსაზრებების ჩამოყალიბებას იმის თაობაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება.

გამოცდილების გაზიარება

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ გამოცდილებისა და მაგალითების გაზიარება მხოლოდ სარგებელს მოგვიტანს:

- ამგვარად, შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ იმ მეთოდების განმეორებით გამოყენება, რომლებიც გამოცდილებით დადასტურდა, რომ არ არის ეფექტური;
- სხვებსაც შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, გამოსცადონ ახალი მეთოდები და დანერგონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების უკვე გამოცდილი, ეფექტური მეთოდები.

სერბეთის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანების მიერ ორგანიზებული იქნა კვლევა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოძიებულიყო მოსწავლეთა საბჭოების უკეთ ფუნქციონირებისათვის საჭირო მოდელი. ამ კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, რომელიც 8 500 მოსწავლისა და 2 000 მასწავლებლის მიერ იქნა შევსებული. კითხვარის ფარგლებში, მოსწავლეები და მასწავლებლები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ მოსწავლეთა საბჭოების საქმიანობაში, რა იყო, მათი მოსაზრებით, მისაღები და რა – მიუღებელი, და რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად. ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა იმას, უნდა ჰქონოდათ თუ არა ხმის უფლება მოსწავლეებს საკრების საბჭოში. გამოკითხული მოსწავლეთა 85 %-ზე მეტმა და მასწავლებელთა 50 %-ზე მეტმა, ამ კითხვაზე პასუხის სახით, დაადასტურა საკუთარი მოსაზრება, რომ მოსწავლეები უნდა სარგებლობდნენ მსგავსი უფლებით. ამ კვლევის შედეგებმა დიდი გავლენა იქონია მთავრობის გადაწყვეტილებაზე, შესაბამისი ცვლილება შეეტანა სერბეთის კანონში განათლების შესახებ.

- თუ თქვენს სკოლას ან ორგანიზაციას აქვს ვებგვერდი, შეგიძლიათ, მისი საშუალებით სხვებსაც გაუზიაროთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში მიღებული გამოცდილება.

იმ მაგალითებიდან, რომლებსაც თქვენ წინამდებარე დოკუმენტში გაეცანით, რომელი იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?

ინფორმაციას ვაწვდით ყველას

რაც უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ ადამიანები მოცემული ქარტიის შესახებ, უფრო მაღალია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაუმჯობესების შესაძლებლობები. ადამიანებისათვის ინფორმაციის მიწოდების უამრავი გზა და საშუალება არსებობს, წინამდებარე ბროშურა ერთ-ერთ ამგვარ საშუალებას წარმოადგენს.

ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიურო: www.obessu.org

ევროპის სტუდენტთა გაერთიანება: www.esu-online.org

„ვეცნობით ჩვენს უფლებებს" წარმოადგენდა კამპანიას, რომლის მიზანიც იყო „სკოლის მოსწავლეთა უფლებების დეკლარაციის" ხელშეწყობა, OBESSU და ESU ერთობლივი პროექტისა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ფური და კამპანიის ორგანიზებაში მონაწილე გაერთიანებების წევრებმა, კამპანიის ემბლემიანი ავტობუსით იმოგზაურეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მათ საზეიმო დახვედრას უწყობდნენ. ევროპის მასშტაბით არსებული საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებებისათვის ეს საუკეთესო შესაძლებლობა იყო, წარეგზინათ საკუთარი თავი და უზრუნველეყოთ მოსწავლეთა უფლებების დაცვა თავიანთ ქვეყნებში.

ამ კამპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://lightontherights.wetpaint.com/

რა სხვადასხვა საშუალებას შემოგვთავაზებდით აღნიშნული ქარტიის შესახებ სხვებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად?

დემოკრატია და ადამიანის უფლებები იწყება ჩვენით. ჩვენ ყველას შეგვიძლია, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მათ დამკვიდრებაში.
ამისათვის კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება! ამგვარად, ჩვენ შევძლებთ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების უკეთ დამკვიდრებას ჩვენ შორისაც შევუწყოთ ხელი.

ახლა, როდესაც თქვენ მეტი შეიტყვეთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რა მოსაზრებების გაზიარებას ისურვებდით თქვენს მეგობრებთან მის შესახებ?

ჩვენ სიამოვნებით გავეცნობით ამ მოსაზრებებს და, აგრეთვე, თქვენს შირად შეხედულებებსა და გამოცდილებას. გამოგვიგზავნეთ ისინი მისამართზე: edchre@coe.int!

ევროპის საბჭო, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, აერთიანებს 47, საერთო ღირებულებების მქონე ქვეყანას, ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კუთხით. ევროპის საბჭოს ქარტია, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ეხება განათლების სფეროში და განათლების საშუალებით, სწორედ ამ ღირებულებათა ხელშეწყობას ემსახურება. ქარტიის მოცემული ვერსია („ქარტია ყველასათვის“) განკუთვნილია ნებისმიერი ადამიანისათვის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ, შეიტყონ, თუ რას ეხება მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება, როგორც საკლასო გარემოში, ასევე, ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებაში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების მიზნით.

www.coe.int/edchre

ელ. ფოსტა: edchre@coe.int

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE